



სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2018-2024



1. შესავალი.....	3
2. სასწავლო უნივერსიტეტის ისტორია	3
3. სასწავლო უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებები	5
4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	5
5. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება.....	6
6. SWOT ანალიზი.....	6
7. სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების პრიორიტეტები	11
5. სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი მიზნები, მათი მიღწევის გზები და შედეგები	1212
სტრატეგიული მიზანი 1.....	12
ცოდნის გაზიარების გზით რეგიონულ და ეროვნულ დონეზე საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა	
სტრატეგიული მიზანი 2	13
ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის სისტემის განვითარება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მართვის პროცესში ეფექტური გამოყენების გზით. შიდა ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა /განვითარება	
სტრატეგიული მიზანი 3	19
საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება/ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა (აკადემიური და პროფესიული)	
სტრატეგიული მიზანი 4.....	23
სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მუდმივი გაუმჯობესება	
სტრატეგიული მიზანი 5.....	24
სასწავლო პროცესის რეგულაციებისა და სტუდენტური სერვისების მომსახურების გაუმჯობესება	
სტრატეგიული მიზანი 6	27
სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა	
სტრატეგიული მიზანი 7	28
სასწავლო უნივერსიტეტის მდგრადი, სტაბილური, ეფექტიანი და ეფექტური ფუნქციონირებისთვის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება.	



1. შესავალი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ ძირითად პინციპებსა და მიდგომებს, რაც საქმიანობის ძირითად ფუნდამენტად მიიჩნევა.

სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება რა დეკლარირებულ პრინციპებსა და მართვის მნიშვნელოვან გამოცდილებას, იზიარებს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და მზად არის შექმნას საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ყოველწლიურად მიაწოდებს შრომის ბაზარს კვალიფიციურ კურსდამთავრებულებს უმაღლესი და პროფესიული განათლებით, იზრუნებს მათი პროფესიონალური და პიროვნული განვითარებისთვის, რათა მათ ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში და ღირებული წვლილი შეიტანონ ქვეყნის კეთილდღეობასა და განვითარებაში.

სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების დინამიური განვითარებისთვის აუცილებელია სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ფორმულირება, რომელშიც გაცხადებული იქნება სასწავლო უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები. სტრატეგიულ გეგმაში დასახული მიზნებისა და ამოცანების რეალიზება შესაძლებელი იქნება გასატარებელი ღონისძიებების თანმიმდევრული შესრულებითა და მონიტორინგით.

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას „საქართველო-2020“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განვითარების სტრატეგიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებსა და ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის SWOT ანალიზს. მასში ასახულია სასწავლო უნივერსიტეტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს მოკლევადიან - ერთ და სამწლიან სამოქმედო გეგმას, რომელშიც ასახულია აღნიშნულ პერიოდში დეკლარირებული მიზნებისა და ამოცანების რეალიზებისთვის დაგეგმილი კონკრეტული აქტივობები.

სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მისი სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით.

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, ექსპერტების, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში მოქმედი თვითმმართველი ერთეულისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების სრული ჩართულობით. სტრატეგიული განვითარების გეგმა მონიტორინგის შედეგების საფუძველზე კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში მტკიცდება ცვლილებებით. სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

2. სასწავლო უნივერსიტეტის ისტორია

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 13 ივლისის №145 დადგენილებით დაფუძნდა სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამეგრელოს რეგიონში სამი სრულიად განსხვავებული მისიის მქონე სასწავლებლის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის



სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის, სსიპ ზუგდიდის პროფესიული ლიცეუმისა და სსიპ სენაკის აგრარულ-ეკონომიკური კოლეჯის - ბაზაზე.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 15 მაისის №122 დადგენილებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის შოთა მესხიას სახელი ეწოდა და დაფუძნდა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 09 ოქტომბრის №182 დადგენილებით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის სახედ განისაზღვრა სასწავლო უნივერსიტეტი და შეეცვალა სახელი – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 დეკემბრის №456 დადგენილებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი რეორგანიზებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტად.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ივლისის №185 დადგენილებით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტად.

სასწავლო უნივერსიტეტი განთავსებულია ორ იურიდიულ მისამართზე: ქ. ზუგდიდსა (ჯანაშიას №4) და ქ. სენაკში (მშვიდობის №92).

სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობას წარმართავენ: მართვის ორგანოები, აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული, დამხმარე და სხვა პერსონალი. სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილია თანაბარი სასწავლო გარემო პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად. სასწავლო უნივერსიტეტში 3 სამაგისტრო, 8 საბაკალავრო, მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადების, 28 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და 18 მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების კურსი ხორციელდება. საგანმანათლებლო პროგრამებს სასწავლო უნივერსიტეტში ახორციელებს: 40 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 24 -აფილირებული, 4 ადმინისტრაციული, 45- დამხმარე, 43 საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესორ-მასწავლებელი/დარგის სპეცილისტი და 110 პროფესიული განათლების მასწავლებელი. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლებას იღებს 536 სტუდენტი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 475 პროფესიული სტუდენტი, უწყვეტი განათლების პრინციპით მომზადება/გადამზადების კურსები გაიარა ექვსიათასზე მეტმა ბენეფიციარმა. სასწავლო უნივერსიტეტში დაინერგა/ხორციელდება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის ახალი მოდელი - დუალური განათლება (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება). შრომის ბაზრის მოთხოვნის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის პრიორიტეტად რჩება აგრარული მიმართულება, რის გამოც უპირატესად დაინერგება და მომზადდება აგრარული მიმართულების ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური (დუალური) პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც შესაძლებელს გახდის პროფესიული განათლების საფეხურზე მოპოვებული კრედიტების უმაღლესი განათლების მიზნებისთვის აღიარებას.

სასწავლო უნივერსიტეტი 2012 წლიდან ჩართულია ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნის მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში. აღნიშნული პროექტები უზრუნველყოფს სტუდენტთა და პერსონალის მობილობისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის მიზნების ხელშეწყობას.



3. სასწავლო უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებები

ხედვა

სასწავლო უნივერსიტეტის ხედვა 2024 წლისთვის:

- უწყვეტი განათლების პრინციპზე დაფუძნებული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

მისია

სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა:

- ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნას სტუდენტის, პერსონალის, სხვა დაინტერესებული პირის კმაყოფილებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და დასაქმების გარემო, დასაქმებაზე, სწავლისა და კვლევის ინტეგრირებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობი პროექტები, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების კურსები.
- დემოკრატიული და ჰუმანიზმის იდეალებზე, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრის, საზოგადოების აქტიური წევრის, მომზადება /გადამზადება/ მოზიდვა.
- ინსპირირება გაუკეთოს ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენის ჩამოყალიბებას, მუდმივად უზრუნველყოს ხარისხი, შექმნას ეფექტური, მოქნილი და სწრაფად განვითარებადი სასწავლებელი, რომელიც შეძლებს დადებითი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების, ბიზნესის, სახელმწიფოს განვითარებასა და კეთილდღეობაზე. გახდეს განათლების სფეროში რეგიონული ცენტრი.

ღირებულებები:

- აკადემიური თავისუფლება
- თანამშრომლობა
- გამჭვირვალობა
- ზრუნვა
- პიროვნული და პროფესიული ზრდა
- სოციალური პასუხისმგებლობა
- სოციალური მეწარმეობა

4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

სტრატეგიული დაგეგმვის წარმატებული პროცესის უზრუნველსაყოფად აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება საკოორდინაციო ჯგუფი, რექტორის ადმინისტრაციული აქტით - სამუშაო ჯგუფები. საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობაში შედის სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. საკოორდინაციო ჯგუფის ფუნქციაა სამუშაო ჯგუფთან ეფექტური თანამშრომლობა და შესასრულებელი სამუშაოების შესრულების უზრუნველყოფა ვადებში.

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართული არიან სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი (აკადემიური,



ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული), სტუდენტები, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში მოქმედი თვითმმართველი ერთეულისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები.

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ეფუძნება საუნივერსიტეტო გარემოს შეფასებას (შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს, SWOT ანალიზს), სტრატეგიული მიზნები არის სასწავლო უნივერსიტეტის განაცხადი იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა სურს მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში, რომელიც არის რეალური და განხორციელებადი, შედეგზე ორიენტირებული და დროში განსაზღვრული, ექვემდებარება მონიტორინგსა და შეფასებას. თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან მიმართებაში შემუშავებულია ამოცანები.

სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და სამოქმედო გეგმის ეფექტურ განხორციელებას კოორდინირებას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

გაფართოებულ სხდომაზე პირველადი მოსმენისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით სტრატეგიული გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

5. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება

სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის, რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური პროცესია.

დაგეგმილი მიზნების მიღწევის ხარისხის შესაფასებლად, სასწავლო უნივერსიტეტი შეიმუშავებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემას, რომელიც ეფუძნება კვლევებს (განსაზღვრულ მაჩვენებლებს /ინდიკატორებს).

სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ობიექტური, მონაწილეობითი პროცესია. მონიტორინგსა და შეფასებას, მკაფიოდ განსაზღვრულ მაჩვენებლებზე (ინდიკატორებზე) დაყრდნობით ახორციელებს შიდა აუდიტის სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და იურიდიულ სამსახურთან თანამშრომლობის გზით.

მონიტორინგი მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა დასახული მიზნების მისაღწევად.

შეფასება აჩვენებს, სრულდება თუ რა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად აქტივობები.

მონიტორინგისა და შეფასების შესახებ ანგარიშის შედგენისას ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები მხარდაჭერილი უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით და ანგარიში უნდა შეიცავდეს ობიექტურ ინფორმაციას სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგებისა და ტენდენციების შესახებ, აგრეთვე მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის გზებს.

შეფასებისა და მონიტორინგის ბოლო ეტაპია უკუკავშირი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დიალოგი ძირითად დაინტერესებულ პირებთან დასკვნებისა და რეკომენდაციების განსახილველად. მონიტორინგისა და შეფასების დასრულების შემდეგ უნდა შედგეს რეკომენდაციები. მონიტორინგსა და შეფასებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს:

- ა) სტრატეგიული გეგმის კორექტირება
- ბ) არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა



გ) მიღებული დასკვნების გათვალისწინება მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი ტარდება ყოველწლიურად. მონიტორინგის შედეგები ასახულია ანგარიშში, რომელიც საფუძვლად უდევს რექტორის ყოველწლიურ ანგარიშს.

6. SWOT ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარება	
ძლიერი მხარე	შესაძლებლობები
<ul style="list-style-type: none"> რეგიონში ერთადერთი უმაღლესი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება; გეოგრაფიული მდებარეობა/პოლიტიკური ნიშანი სასწავლო უნივერსიტეტის მისია განსაზღვრავს ზსსუს განსაკუთრებულ როლს რეგიონში ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნაში უმაღლესი, პროფესიული და უწყვეტი განათლების პრინციპებით. სასწავლო უნივერსიტეტის მისია განსაზღვრავს ზსსუს განსაკუთრებულ როლს აკადემიური სივრცით თაობებისთვის ცოდნის, უნარებისა და სოციალური, კულტურული ღირებულებების ფორმირებაში. პარტიორი და მსგავსი მისიის მქონე (საქართველოში და საქართველოს ფარგლებს) გარეთ საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება საქმიანობის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სამუშაო ჯგუფები, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის განხორციელების გამოცდილება 	<ul style="list-style-type: none"> სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და სხვა გარემოსდაცვითი პროგრამები და ღონისძიებები უწყვეტი განათლების (მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის) ხელშეწყობის საქმისთვის . რეგიონის განვითარებაში მონაწილე ახალგაზრდა თაობის, გარე აქტორების, დაინტერესებული მხარეების ჩართვა; სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება: მისიით განსაზღვრული პრიორიტეტების უზრუნველყოფა სტრატეგიული მიზნებითა და ამოცანებით.
სუსტი მხარე	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> მისიისა და სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში გარე აქტორების ნაკლები/სუსტი ჩართულობა 	<ul style="list-style-type: none"> მისიისა და სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში გარე აქტორების ნაკლები/სუსტი ჩართულობა
სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	
ძლიერი მხარე	შესაძლებლობები
<ul style="list-style-type: none"> საქმეზე ორიენტირებული სტრუქტურული ერთეულები ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილებით. 	<ul style="list-style-type: none"> ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირება მართვის პროცესში. (საგანმანათლებლო სივრცეში არსებული



<ul style="list-style-type: none"> • მართვის სტაბილურობა • სტრუქტურის შესაბამისობა მისიასთან • ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების საერთაშორისო პროექტებში მიღებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მართვის პოლიტიკაში • პერსონალზე ზრუნვა და წახალისების მექანიზმები • ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მექანიზმები • საქმიანობის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები • აკადემიური თავისუფლება • შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი • სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია 	<p>საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება /დანერგვა)</p> <ul style="list-style-type: none"> • მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება საქმიანობის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებით. უწყვეტი შეფასების სისტემის შექმნა და ამ სისტემაზე დაყრდნობით სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შემდგომი განვითარება. • საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის პროცესების შედეგების თანმიმდევრული დანერგვა მართვაში • ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა (პლაგიატი) • თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ზსსუ-ს მართვის საქმიანობაში; • მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა; • საგანმანათლებლო მომსახურების, მომხმარებლების, დამსაქმებლებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირების მოქნილი სისტემის შექმნა
სუსტი მხარე	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ინტეგრირებით ეფექტური სტრუქტურული მოწყობა და ყველა რგოლის ჩართულობა • თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ზსსუ-ს მართვის საქმიანობაში • პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმები • მონიტორინგის მექანიზმები • პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა • საინფორმაციო-სარეკლამო საქმიანობა 	<ul style="list-style-type: none"> • არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური გარემო; • დემოგრაფიული ცვლილებები. მოსახლეობის არათანაბარი გადანაწილება • საკანონმდებლო რეგულაციები;
სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები	
ძლიერი მხარე	შესაძლებლობები
<ul style="list-style-type: none"> • შრომის ბაზარსა და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, გადამზადება/მომზადების კურსები • საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარების პოლიტიკა • ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების გამოცდილება • სტუდენტის სამართლიანი შეფასების სისტემა • საკონსულტაციო სისტემა • პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია 	<ul style="list-style-type: none"> • შრომის ბაზრის კვლევა საქმიანობის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით ახალი პროფესიების იდენტიფიცირება, საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/მოდიფიცირება • ინდივიდუალური სასწავლო გეგმების სრული ჩართულობა სასწავლო პროცესში • სტუდენტის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მოქნილი და გამჭვირვალე შეფასების სისტემა • დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში • ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება • ინტერნაციონალიზაციის მიზნებისთვის საგანმანათლებლო კურსების/პროგრამების შემუშავება



	<ul style="list-style-type: none"> • უწყვეტი განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით ახალი მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების კურსების შემუშავება • საგანმანათლებლო პროგრამების, კატალოგების შესახებ ინფორმაციის სრულად ასახვა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში
სუსტი მხარე	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ბიზნესსექტორის, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა არასაკმარისი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში • შრომის ბაზრის კვლევა • დაფინანსება, ბიუჯეტი • სწავლა-სწავლების მეთოდები • შეფასების სისტემა • ინტერნაციონალიზაციის მიზნებისთვის სასწავლო კურსები 	<ul style="list-style-type: none"> • საკანონმდებლო რეგულაციები • უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების არსებული მოდელი, ბიუჯეტი • ბიზნესსექტორის/ დამსაქმებელთა/ სოციალური პარტნიორების პასიური თანამშრომლობა • ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილება; • საბაზისო განათლების დაბალი დონე
სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი	
ძლიერი მხარე	შესაძლებლობები
<ul style="list-style-type: none"> • პერსონალის მართვის რეგულაციები • გადამზადებული პერსონალი • გადამზადებული პერსონალი ინტერნაციონალიზაციის მიზნებისთვის • საქმიანობის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები • წახალისების მექანიზმები 	<ul style="list-style-type: none"> • პერსონალის მართვის რეგულაციებით მართვის პოლიტიკის ერთიანი სისტემის შექმნა, რომელიც ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტურ წარმართვას. • საკადრო პოლიტიკისა და მოტივაციის სისტემის გაუმჯობესება • პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე • აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის განსაზღვრა საქმიანობის ეფექტური წარმართვისთვის. • აკადემიური თანამდებობის მქონე პირთა ავილირების განსაზღვრა და დადგენილი სამიზნე ნიშნულებით საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება
სუსტი მხარე	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • მისიითა და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების სრულყოფილად შესრულებისთვის საჭირო აუცილებელი აკადემიური პერსონალი აღჭურვილი სათანადო ცოდნით (უცხო ენა, საინფორმაციო ტექნოლოგიები) • პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკოსი სპეციალისტების დარგის ექსპერტების არასათანადო პედაგოგიური უნარების ფლობა 	<ul style="list-style-type: none"> • ბიუჯეტი
სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	
ძლიერი მხარე	შესაძლებლობები
<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები და სივრცე • სტუდენტური სერვისები 	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტური მხარდაჭერის, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების ზრდა • სტუდენტური კონტინენტის ინტერნაციონალიზაცია



<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტების ინტერესებისა და უფლებების დაცვა • სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები (სტუდენტთა კარიერული განვითარებასა და დასაქმებასთან დაკავშირებული მხარდაჭერის ტრენინგები დაფუძნებული საერთაშორისო გამოცდილებას). • სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა • სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის მექანიზმები • საკონსულტაციო სისტემა • კრედიტების აღიარების (ეროვნულ ისე საერთაშორისო მობილობის პირობებში) მოქნილი სისტემის არსებობით სტუდენტებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა • სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების ხარისხის შეფასება. • სასწავლო პროცესის რეგულაციების მოქნილობაზე მუდმივი ზრუნვა 	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტური სერვისების მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესება • სრულად ადაპტირებული გარემოს მოწყობა სპეციალური საჭიროების სტუდენტებისთვის • სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა მათი აქტივობისა და მართვაში ჩართულობის გასაძლიერებლად • საკანონმდებლო ცვლილებების, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურების ცენტრების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, წახალისებისა და ხელშეწყობის მექანიზმების გამოყენებით სტუდენტური ინიციატივების/საჭიროებების მხარდაჭერა
სუსტი მხარე	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტთა ელექტრონული მომსახურების სისტემა • სრულად ადაპტირებული გარემო არარსებობა სპეციალური საჭიროების სტუდენტებისთვის • სტუდენტთა არასაკმარისი აქტივობა და ჩართულობა მართვაში • ინდივიდუალური სასწავლო გეგმები 	<p>არამდგრადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო არასტაბილური შემოსავლები სტუდენტების მხრიდან</p>
კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	
ძლიერი მხარე	შესაძლებლობები
<ul style="list-style-type: none"> • შიდა კონფერენციები • შრომათა კრებულები და საუნივერსიტეტო სამეცნიერო გამოცემები • საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან წვდომა (ელსვეიერი) 	<ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო პერსონალის უცხო ენაში გადამზადება უნივერსიტეტის რესურსების გამოყენებით (უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი) • კვლევის დაფინანსების სისტემის დანერგვა, კვლევის დაფინანსების მოპოვების დახვეწა, ბიზნესეკონომიკის მოზიდვა კვლევებში. • კვლევების ხარისხისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის განსაზღვრის მიზნით შეფასების გაუმჯობესებული სისტემის დანერგვა • საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევის კომპონენტის გაძლიერება • საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავება • საერთაშორისო კონფერენციები
სუსტი მხარე	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • სწავლებისა და კვლევის ინტეგრირება • კვლევის დაფინანსება • სამეცნიერო პერსონალის მიერ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელის არასაკმარისი გამოყენება • საერთაშორისო გამოცემებში აკადემიური პერსონალის კვლევების გამოქვეყნების დაბალი მაჩვენებელი 	<ul style="list-style-type: none"> • არამდგრადი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გამო არასტაბილური შემოსავლები



<ul style="list-style-type: none"> პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მეთოდოლოგია და საკმინაობის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები საერთაშორისო კონფერენციები 	
მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	
ძლიერი მხარე	შესაძლებლობები
<ul style="list-style-type: none"> მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სასწავლო კორპუსები და დამხმარე შენობა - ნაგებობები) ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა. საბიბლიოთეკო ფონდი, ბიბლიოთეკის მართვის სისტემა, საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე წვდომა ელექტრონული უწყვეტი მიწოდების სისტემა, სანიტარული კვანძები, ბუნებრივი განათება და გათბობის ცენტრალური სისტემა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები ფინანსური მართვის სისტემა 	<ul style="list-style-type: none"> ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა დაფინანსების წყაროების მოძიება და გაზრდა, ბიზნესეკონომიკის მოზიდვა სასწავლო ფართის დამატება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მუდმივი მონიტორინგი და განახლება. შიდა დაქსელების მოწყობა ძირითადი ლიტერატურის განახლება/რაოდენობის ზრდა ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს რესურსების სრულყოფა და მომსახურების გაუმჯობესება ორივე ენაზე (ქართულ და ინგლისურ) ღია, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ვებგვერდის უზრუნველყოფა ბიზნესუწყვეტობის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა სრულად ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა სპეციალური საჭიროების პირებისთვის. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება და სრულყოფა
სუსტი მხარე	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> ნაწილობრივ ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების სტუდენტებისთვის ორივე ენაზე (ქართულ და ინგლისურ) ღია, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ვებგვერდის არარსებობა შიდა დაქსელება ძირითადი ლიტერატურის საჭირო ეგზემპლარის არასაკმარისი რაოდენობა მომხმარებელზე საბიბლიოთეკო მასალების (გაცემა/დაბრუნება) ელექტრონულად ელექტრონული წიგნები 	<ul style="list-style-type: none"> დაფინანსების წესი, ბიუჯეტი არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური გარემო

6. სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების პრიორიტეტები

საკმინაობის ეფექტურობისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი პრიორიტეტებით:

- ა) სასწავლო უნივერსიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება.
- ბ) სწავლისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესება.
- გ) ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება.
- დ) მართვისა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია.



- ე) კვლევების ხელშეწყობის მხარდაჭერა.
- ვ) კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის ხელშეწყობა.
- ზ) სტუდენტზე/პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული გარემოსა და სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება.
- თ) უწყვეტი განათლების ხელშეწყობა.

5. სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი მიზნები, მათი მიღწევის გზები და შედეგები

1. ცოდნის გაზიარების გზით რეგიონულ და ეროვნულ დონეზე საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა.
2. ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის სისტემის განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მართვის პროცესში ეფექტური გამოყენების გზით. შიდა ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა/განვითარება.
3. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება/ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა (აკადემიური და პროფესიული).
4. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მუდმივი გაუმჯობესება.
5. სასწავლო პროცესის რეგულაციებისა და სტუდენტური სერვისების მომსახურების გაუმჯობესება.
6. სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.
7. სასწავლო უნივერსიტეტის მდგრადი, სტაბილური, ეფექტიანი და ეფექტური ფუნქციონირებისთვის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება.

სტრატეგიული მიზანი 1. ცოდნის გაზიარების გზით რეგიონულ და ეროვნულ დონეზე საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა.

ამოცანები:

- 1.1 სასწავლო უნივერსიტეტის ინსტიტუციაში დაგროვილი ცოდნის საზოგადოებისთვის გაზიარება;
- 1.2 ღირებულებების ფორმირებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების დანერგვა;
- 1.3 რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით პრიორიტეტული დარგების/ მიმართულებების იდენტიფიცირება;

- 1.1 სასწავლო უნივერსიტეტის ინსტიტუციაში დაგროვილი ცოდნის საზოგადოებისთვის გაზიარება



აქტივობა 1	სოციალური, კულტურული, ეკონომიკური გარემოსდაცვითი პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება.
აქტივობა 2	სასწავლო უნივერსიტეტის როლის შესრულება საზოგადოებაში მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის ხელშეწყობით (უწყვეტი განათლების ცენტრი, კარიერის განვითარების ცენტრი, ექსტენციის ცენტრი, უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი, მოკლევადიანი მომზადება /გადმზადების კურსები, ადგილობრივი ფორმების დახმარება და კონსულტაცია).
აქტივობა 3	აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.
აქტივობა 4	სასწავლო პროცესის მორგება რეგიონის საჭიროებებზე (რეგიონზე ორიენტირებული პროგრამები, ადგილობრივი სტუდენტების რეკრუტირება, კურსდამთავრებულთა შენარჩუნება და პოლიტიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა).

1.2 ღირებულებების ფორმირებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების დანერგვა

აქტივობა 1	სოციალურ პასუხისმგებლობას მორგებული საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების („კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“, „აკადემიური წერა“, „დემოკრატია და მოქალაქეობა“, „მეწარმეობა“, „გარემო და მდგრადი განვითარება“, „ფილოსოფიის ისტორია (კონცეპტუალური საკითხები)“, „ფსიქოლოგია“, „პოლიტიკის მეცნიერებები“, „კარიერის მართვა“, „უცხო ენა“, „საქართველოს ისტორია“, „რელიგიების ისტორია“) განხორციელება.
აქტივობა 2	სასწავლო პროცესის მორგება რეგიონის საჭიროებებზე (რეგიონზე ორიენტირებული პროგრამები, ადგილობრივი სტუდენტების რეკრუტირება და კურსდამთავრებულთა შენარჩუნება და პოლიტიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა).

1.3. რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით პრიორიტეტული დარგების/ მიმართულებების იდენტიფიცირება

აქტივობა 1	პრიორიტეტული დარგების/მიმართულებების (აგრარული, სამშენებლო, ტურიზმის, საინჟინრო, განათლების, ჯანდაცვის, სამართლის, ბიზნესის) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების/კურსების შემუშავება/განხორციელება
------------	---

სტრატეგიული მიზანი 2

ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის სისტემის განვითარება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მართვის პროცესში ეფექტური გამოყენების გზით. შიდა ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა /განვითარება.

ამოცანები:



- 2.1 ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირება მართვის პროცესში, საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება/დანერგვა;
- 2.2 მირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) მოდერნიზაცია;
- 2.3 მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
- 2.4 შეფასების, თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება და უწყვეტი შეფასების სისტემაზე დაყრდნობით სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შემდგომი განვითარება;
- 2.5 საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა;
- 2.6 სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის გზით.
- 2.7 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება;
- 2.8 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა;
- 2.9 საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლების, დამსაქმებლებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირების მოქნილი სისტემის შექმნა;

2.1 ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირება მართვის პროცესში, საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება/დანერგვა;

აქტივობა 1	მართვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტური გამოყენების მიზნით, სტრუქტურული ერთეულებისთვის, მართვის ორგანოებისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიების შემუშავება და მიწოდება.
აქტივობა 2	სასწავლო უნივერსიტეტის ყველა რგოლის ეფექტური ჩართულობა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში.
აქტივობა 3	სამუშაო/სასწავლო პირობების, მატერიალური, საინფორმაციო და ინფრასტრუქტურული რესურსების შეფასების სისტემის (კითხვარების მომზადება პერსონალისთვის, სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის-კმაყოფილების კვლევა) შემუშავება, პერიოდულად გამოკითხვების ჩატარება და ანალიზი.
აქტივობა 4	სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სრული ჩართულობა.
აქტივობა 5	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა აუდიტთან და იურიდიულ განყოფილებასთან თანამშრომლობა სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პროცესის შეფასების დროს.
აქტივობა 6	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიწოდებული მეთოდოლოგიების შესაბამისად სტრუქტურული ერთეულების სამუშაოების აღწერილობა - კვლევის შედეგების ანგარიშების შეფასება და ანალიზი.
აქტივობა 7	შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურად განსახორციელებლად შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების არსებობის უზრუნველყოფა.
აქტივობა 8	მართვის ორგანოების გაფართოებული სხდომები, პერსონალის სრული ჩართულობით.
აქტივობა 9	მართვის ორგანოების წლიური ანგარიშები გაფართოებულ სხდომებზე.
აქტივობა 10	სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების პერიოდული წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის.



აქტივობა 11	შეხვედრების დაგეგმვა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შემუშავებული მეთოდოლოგიების ყველა რგოლისთვის გასაცნობად .
აქტივობა 12	უკუკავშირების მიღების მექანიზმების დანერგვა სასწავლო უნივერსიტეტში არსებული მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით.
აქტივობა 13	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა .
აქტივობა 14	ადამიანური რესურსების გადამზადება, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა.
აქტივობა 15	ვებ-გვერდის მუდმივი განახლება, მართვის ელექტრონული სისტემების/პროგრამების შესყიდვა.

2.2 ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) რეორგანიზაცია;

აქტივობა 1	წესდებაში ცვლილების შეტანა.
აქტივობა 2	ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) ოპტიმიზაცია.
აქტივობა 3	ფაკულტეტის საბჭოს დებულებისა და სხვა რეგულაციების შემუშავება.
აქტივობა 4	ახალი სტრუქტურული ერთეულების შექმნა და მათი სამუშაოთა აღწერილობების შემუშავება დებულებების სახით.
აქტივობა 5	შესაბამისი მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარება.
აქტივობა 6	ახალი სტრუქტურული ერთეულების საუნივერსიტეტო სტრუქტურაში ჩართვა.
აქტივობა 7	სტრუქტურული ერთეულებისა და იერარქიის ჩამოყალიბება.
აქტივობა 8	სტრუქტურული ერთეულების ეფექტური და კოორდინირებული მოქმედება, შესაბამისი რეგულაციებისა და მექანიზმების შემუშავება.

2.3 მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

აქტივობა 1	ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვა EFLOW.
აქტივობა 2	დოკუმენტბრუნვის მიმდევრობის შემუშავება.
აქტივობა 3	ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვის საკითხებში თანამშრომელთა დატრენინგება.
აქტივობა 4	პერსონალის მოძრაობის ელექტრონული აღრიცხვის დანერგვა
აქტივობა 5	საქმისწარმოების წესის ელექტროდოკუმენტბრუნვასთან შესაბამისობაში მოყვანა.
აქტივობა 6	სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამის დანერგვა.

2.4 შეფასების, თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება და უწყვეტი შეფასების სისტემაზე დაყრდნობით სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შემდგომი განვითარება;



აქტივობა 1	პერსონალის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და მექანიზმების შემუშავება.
აქტივობა 2	სასწავლო უნივერსიტეტის მართვაში ჩართული პირების, აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასებისა და თვითშეფასების კვლევის მიზნით კითხვარების შემუშავება, გამოკითხვა.
აქტივობა 3	სტრუქტურული ერთეულების დებულებებით გაწერილი ფუნქციების შესაბამისობა სამუშაოს მოცულობასთან, მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულებები, შესაბამისად, ფუნქციების დუბლირების თავიდან აცილება.
აქტივობა 4	მონიტორინგის, გამოკითხვის შედეგების ანალიზი და სასწავლო უნივერსიტეტში არსებული მართვის პოლიტიკის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
აქტივობა 5	მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცესში სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობისთვის გამოკითხვების ჩატარება და ანალიზი

2.5 საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა

აქტივობა 1	საერთაშორისო სტუდენტების და პერსონალის მოზიდვა, საერთაშორისო მობილობა
აქტივობა 2	ინტერნაციონალიზაციის/ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების საერთაშორისო პროექტების ფარგლებში მიღებული გამოცდილებით სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის ამაღლება;
აქტივობა 3	სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზება აბიტურიენტებს, სტუდენტებს, პროფესიულ სტუდენტებს, დამსაქმებლებს, დაინტერესებულ პირთა, შიდა და უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის.
აქტივობა 4	საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება.
აქტივობა 5	საერთაშორისო მკვლევარებისა და მეცნიერების ჩართვა სამეცნიერო გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში.
აქტივობა 6	ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარების საერთაშორისო პროექტების ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის გადამზადებული პერსონალის ჩართულობით მართვის გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნებისთვის მომზადება (უცხოენოვანი კურსები, მოდულები, პროგრამა).
აქტივობა 7	უცხო ენათა შემსწავლელ ცენტრში პერსონალისა და სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა სწავლება ინტერნაციონალიზაციის მიზნებისთვის.
აქტივობა 8	უცხოელ პარტნიორებთან გაცვლითი პროგრამების დამატება, არეალის გაფართოება; ერთობლივი პროგრამების/კურსების შექმნა პროფესიული, საბაკალავრო და/ან სამაგისტრო საფეხურებისთვის;
აქტივობა 9	დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ურთიერთობის გაღრმავება/ გაფართოება
აქტივობა 10	ზაფხულისა და ზამთრის სკოლის მოწყობა უცხოელი პროფესორების მონაწილეობით. პრიორიტეტული მიმართულებების გაძლიერების მიზნით



	მხარდაჭერის პროექტის განხორციელება - საჯარო ლექციების მოწყობა უცხოელი პროფესორების მონაწილეობით.
აქტივობა 11	საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის, მათ შორის უცხოელი პროფესორებისა და სტუდენტების/პროფესორულ სტუდენტთა მოზიდვის მექანიზმების ეფექტურობის არსებული სიტუაციის შეფასებისა და ანალიზის მიზნით სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა და შეფასების ანალიზი.

